პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 ივლისი ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 159 (14155)

თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კომკავშირელები, ახალგაზრდა მუშები წარმატებით იბრძვიან ხუთწლედის დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის.

ხურათზე: ქარხნის ახალგაზრდა მუშების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) მ. ბერაძე, ბ. ივანელაშვილი, ზ. ტურანოსოვი, ვ. მანუკოვი, ს. გოგიაშვილი, ა. გვარაძე და რ. კობახიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ღირსეულად შევხვდეთ ლენინური კომკავშირის საბჭოთა ნახევარსაუკუნოვან იუბილეს

ვ. პ. მეტალნიკოვი ესაუბრა თბილისის კომკავშირულ მუშაკებს

წელს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები ზეიმით აღნიშნავენ ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის — ჩვენი ახალგაზრდობის მებრძოლი ავანგარდის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწისა და საიმედო რეზერვის სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ყველაფერი, რითაც მდიდარია ახალგაზრდობა — მგზნებარება და დაუშრეტელი ენერგია, რევოლუციური რომანტიკა, შემოქმედებითი აზრის ალმაფრენა, ძიება და შემართება, უსაზღვრო ერთგულება ლენინის პარტიის საქმისადმი და სოციალისტური სამშობლოს სიყვარული — მკაფიოდ ვლინდება ამ წინასაიუბილეო დღეებში. საქართველოს ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნისა, ისწრაფვის ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წელი აღნიშნოს ახალი შესანიშნავი გამარჯვებებით სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

შთაგონებული შრომა ქარხნებში, მინდვრებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე, მათ შორის ენგურჰესის უნიკალურ მშენებლობაზე, სტუდენტ მშენებელთა რაზმები, „კომკავშირული პროუექტორის“ შტაბები, უყირათიანთა ლაშქრობები, ტექნიკური შემოქმედების დათვალიერებანი, შეფობა მომსახურების სფეროსა და ისტორიულ ძეგლებზე, და ბევრი სხვა რამ განსაზღვრავენ საქართველოს ლენინური კომკავშირის დღევანდელი თაობის სახეს. მთელ რესპუბლიკაში ფართოდება ქალიშვილებისა და ჭაბუკების შეჯიბრება სახელოვანი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის.

უოველდღიურად იბადება კომკავშირელთა ახალი პატრიოტული წამოწყებანი, რომელთა მიზანია დიდი ოქტომბრის მონაპოვართა გამრავლება, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცება. ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის ბევრ საწარმოში გაჩნდა პლაკატები მოწინავე კომკავშირელთა პორტრეტებითა და წარწერებით: „ჩვენი დევიზია: გაკეთდა ჩვენს კოლექტივებში — გაკეთდა შესანიშნავად! აქ მუშაობს კომკავშირელი..., რომელიც აბარებს პროდუქციას პასპორტით „კომკავშირული გარანტია“. მაღალი ხარისხის პროდუქციის დამზადება თვითეული მშრომელის ღირსების საქმეა“.

— აღვზარდოთ ახალგაზრდობა რაიონის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, — ასეთი ლოზუნგით მიმდინარეობს თბილისის ლენინის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა.

კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში შექმნილია კომკავშირული უბნები, განყოფილებები და ბრიგადები, რომლებიც იბრძვიან კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდებისათვის. საწარმოს ტერიტორიაზე ახალგაზრდობამ გააშენა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის სკვერი.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებს წელს ორმაგი დღესასწაული აქვთ — ისინი აღნიშნავენ ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს და თავიანთი უნივერსიტეტის 50 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენებისათვის საქმიანი მზადების ნიშნით შრომობენ ახლა უძველესი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. დამთავრდა სასწავლო წელი, დაიწყო შრომითი სემესტრი. უნივერსიტეტის სტუდენტებს დღეს ნახავთ ენგურის პიდროელექტროსადგურის, თბილისში უნივერსიტეტის ახალი შენობის მშენებლობაზე, ისინი აწარმოებენ ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ძეგლების რესტავრირებას.

და კიდევ რამდენ შესანიშნავ საქმეს აკეთებენ თბილისელი კომკავშირელები.

8 ივლისს სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეტალნიკოვი შეხვდა ქალაქ თბილისის კომკავშირულ მუშაკებს. ქალაქის 26 კომისრისა და ლენინის რაიონებში იგი ესაუბრა კომკავშირის რაიკომების ბიუროების წევრებს, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — საწარმოსა და უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტების ბიუროების წევრებს.

ამხ. ვ. პ. მეტალნიკოვი დაინტერესდა, თუ როგორ ემზადებიან კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის, დაინტერესდა ახალგაზრდობის შრომის, სწავლის, დასვენების, აღზრდის, საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობებით.

ამხ. ვ. პ. მეტალნიკოვმა მაღალი შეფასება მისცა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისათვის მზადების საქმეში. — იუბილემდე ცოტა დრო დარჩა, — თქვა ამხ. ვ. პ. მეტალნიკოვმ. — ეს დრო რაციონალურად და გონივრულად უნდა გამოვიყენოთ, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ღირსეული წვლილი შევიტანოთ იუბილესათვის მზადების საქმეში, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ახალი შესანიშნავი საქმეებით აღვნიშნოთ მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის დღესასწაული. ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ ახალგაზრდობას, განსაკუთრებით მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შრომის, ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, ცოდნის დაუფლებაში. უფრო მეტს უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ მათ აითვისონ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება, დაეუფლონ მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას.

ამხ. ვ. პ. მეტალნიკოვმ კომკავშირულ მუშაკთა ყურადღება მიაპყრო ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას.

კომუნისტურ პარტიას, უფროს თაობას, — თქვა მან, — სრული საფუძველი აქვთ სურდეთ, რომ თავიანთი ცვლა მათი საქმის ღირსეულ განმგრძობად იხილონ. ამ ცვლის აღზრდა მიგვაჩნია საერთოპარტიულ, საერთოსახელმწიფო ამოცანად. უნარიანად უნდა განვავითაროთ ახალგაზრდობის ინიციატივა და თვითმოქმედება, შევუქმნათ მას ხელშემწყობი პირობები შემოქმედებითი შრომისა და გონივრული დასვენებისათვის.

საკმარისი არ არის ფრიადზე სწავლა ან უწუნოდ მუშაობა, — აღნიშნა ამხ. ვ. პ. მეტალნიკოვმ კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის ბიუროს წევრებთან საუბარში. — რა თქმა უნდა, ეს საჭიროა, მაგრამ მთავარია აღვზარდოთ ახალგაზრდობა შეგნებულობის, საკუთარი თავის წინაშე, კოლექტივის, მთელი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, კომუნიზმის დიადი საქმისადმი ურყევი რწმენის სულისკვეთებით. პარტია დაუცხრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ ახალგაზრდობა იზრდებოდეს იდეურად გამოწრთობილი, საუკეთესო ტრადიციების ერთგული, სამშობლოს ნამდვილი პატრიოტი. პარტია და ხალხი ამაყობენ იმით, რომ ჩვენს ახალგაზრდობას სოციალისტური სამშობლოს დაცვა მიანდო თავის წმიდათა-წმიდა მოვალეობად და მზად არის სამშობლოს პირველი მოწოდებისთანავე გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს აგრესორს, თუ იგი გაბედავს ოქტომბრის მონაპოვრების ხელყოფას. ამაშია თაობათა ერთობა, პარტიისა და ხალხის ერთობა, ამაშია კომუნისტურ მშენებლობაში ყველა ჩვენი გამარჯვებისა და მონაპოვრის საიდუმლოება.

ამხ. ვ. პ. მეტალნიკოვმ თბილისის კომკავშირულ მუშაკებთან საუბარში გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ქართველი ახალგაზრდობა ღირსეულად აღნიშნავს სრულიად საკავშირო ალკკ ნახევარი საუკუნის იუბილეს და ღირსეულად ატარებს ლენინურ დროშას კომუნიზმის იდეალების სრული გამარჯვებისაკენ.

კომკავშირულ მუშაკებთან შეხვედრის დროს ამხ. ვ. პ. მეტალნიკოვთან ერთად იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. ვ. მეფარეველი.

(საქდესი).

ინდოეთის პრეზიდენტი ზაქირ ჰუსეინი ეწვია ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინს

ინდოეთის პრეზიდენტი დოქტორი **ზაქირ ჰუსეინი** 8 ივლისს კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ნ. ვ. პოდგორნს.**

ნ. ვ. პოდგორნისა და პრეზიდენტ ზაქირ ჰუსეინს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

იმავე დღეს ინდოეთის პრეზიდენტი ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ნ. კოსიგინს.**

ა. ნ. კოსიგინსა და დოქტორ ზაქირ ჰუსეინს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

ნ. ვ. პოდგორნი და ა. ნ. კოსიგინი ესაუბრნენ ინდოეთის პრეზიდენტს დოქტორ ზ. ჰუსეინს

9 ივლისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდნენ ინდოეთის პრეზიდენტს დოქტორ ზაქირ ჰუსეინს, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით.

საუბრის დროს, რომელიც გულახდილობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, საბჭოთა ხელმძღვანელებმა და პრეზიდენტმა დოქტორმა ზაქირ ჰუსეინმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის მდგომარეობაზე და საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებაზე. განხილულ იქნა აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. (საქდესი).

ინდოეთის პრეზიდენტის პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 9 ივლისს დარბაზობათა სახლში საუზმე გამართეს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დოქტორ **ზაქირ ჰუსეინის** პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ **ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, გ. ი. ვორონოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე** და სხვა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწენი.

ინდოეთის მხრივ ესწრებოდნენ გზათა მინისტრი **კ. მ. პუნჩჰა,** ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში **კეკალ სინჰი,** ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო საქმეების მდივანი **რაჯეშვარ დაიალი** და პრეზიდენტის სხვა თანმხლები პირნი.

საუზმის დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა ზაქირ ჰუსეინმა მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს. (საქდესი).

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატების მიმართვა

სსრ კავშირის ყველა მასწავლებლისადმი, სახალხო განათლების მუშაკებისადმი, მშობლებისა და საზოგადოებრიობისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხი, აღნიშნა რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავი, უდიდესი ენთუზიაზმითა და დაუშრეტელი ენერგიით მოიპოვებს ახალ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ამასთან ხელმძღვანელობენ საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესებით საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების ინტერესებით, მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების ინტერესებით.

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობა ჩვენი ქვეყნის მასწავლებელთა და სახალხო განათლების ყველა მუშაკის სახელით მთლიანად და სავსებით იწონებს და მხურვალედ უჭერს მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოხდა სიღრმითა და გაქანებით უმაგალითო კულტურული რევოლუცია. პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეიქმნა განათლების ნამდვილად დემოკრატიული სისტემა, რომელიც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის უზრუნველყოფს საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების რეალურ შესაძლებლობას. ყველგან შემოღებულია სავალდებულო რვაწლიანი სწავლება, ხორციელდება გადასვლა საყოველთაო საშუალო განათლებაზე.

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობამ განიხილა საბჭოთა სკოლის შემდგომი განვითარების ძირეული პრობლემები, რომლებიც დაგვისახეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამამ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ. ყრილობამ შეაჯამა „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების შესრულების პირველი შედეგები.

მოზარდი თაობის წარმატებითს სწავლებასა და აღზრდაში მთავარი როლი მასწავლებელს ეკუთვნის. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ მასწავლებელთა არმია არის აპარატი, რომელმაც უნდა გააღვიძოს აზრი, წინ წასწიოს მუშაობა, გაავრცელოს პარტიის იდეები მოსახლეობის ყველა ფენაში. მასწავლებლის მაღალი და კეთილშობილური მოწოდებაა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდა, დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა ხალხის მასების ყველაზე ფართო წრეებში.

საბჭოთა მასწავლებლები — ეს არის ინტელიგენციის უდიდესი ორმილიონიანი დიდი რაზმი, ეს არის ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი იდეოლოგიური ძალა. თითოეული მასწავლებლის მოვალეობაა საფუძვლიანად დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სისტემატურად ავსებდეს თავისი პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის მარაგს, იყოს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ყველა ახალი მიღწევის კურსში. მასწავლებლის ფართო ერუდიცია, მთელი მისი იერი და ქცევა, მისი საზოგადებრივი სახე უნდა იყოს მოსწავლეებისათვის, მათი მშობლებისათვის, მოსახლეობისათვის ღირსეული მაგალითი. წარმატებული მუშაობის საჭირო პირობა ის არის, რომ მასწავლებელი ღრმად ეუფლებოდეს სკოლის ახალი პროგრამების შინაარსს, სწავლებისა და აღზრდის რაციონალურ, მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობისადმი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ყრილობაზე დიდად არის შეფასებული საბჭოთა მასწავლებლის შრომა, დასახულია მისი მუშაობის ვრცელი პროგრამა მომავალი პერიოდისათვის. მისი მთლიანად განხორციელება ჩვენი ვალი და უპირველესი მოვალეობაა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას იჩენენ და მამობრივად ზრუნავენ სახალხო მასწავლებლისათვის, მისი საჭიროებისათვის, მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის, მისი შრომის რაც შეიძლება სწორი გამოყენებისათვის. ამას კვლავ ადასტურებს ის, რომ საბჭოთა მასწავლებლების დიდ რაზმს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სამაკადო წოდება.

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობა მოუწოდებს მასწავლებლებს, აღმზრდელებს, სახალხო განათლების ყველა მუშაკს განუწყვეტლივ სრულყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები, შემოქმედებითად გამოიყენონ ყოველივე ძვირფასი, რაც შექმნა გამოცდილებით საბჭოთა სკოლამ და პედაგოგიკის მეცნიერებამ, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი და განვითარონ ის ახალი და მოწინავე, რაც წარმოშვა თვით ცხოვრებამ, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკამ.

სახალხო განათლების ორგანოებს პედაგოგიურ სასწავლებელთა დიდი უურადღებისა და ღრმა დაინტერესების საგანი უნდა იყოს ახალგაზრდა მასწავლებელთა მომზადება. ყრილობა გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ უნივერსიტეტების, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების პროფესორები და მასწავლებლები უფრო მეტი სიყვარულითა და ეფექტიანობით ასწავლიან და აღზრდიან თავიანთ მოწაფეებს, მოამზადებენ კარგ სპეციალისტებს, ნამდვილ პედაგოგებს.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით იბრძვიან პარტიის 23-ე ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მშრომელებმა ცხადყვეს, რომ კარგად ესმით თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, პასუხისმგებლობა სახალხო-სამეურნეო გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. და აქტიურად ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების შესახებ.

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, პლანტაციებსა და მეცხოველეობის ფერმებში, სამეცნიერო ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში თავდადებით შრომობენ ჩვენი რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები, ნოვატორები, გამომგონებლები და რაციონალიზატორები.

სოფლის მეურნეობის მშრომელთათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ბოლო წლები. გადაჭარბებით შესრულდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და დამზადების საიუბილეო წლის დავალებანი. შარშან კვლავ თავი ისახელეს ჩვენმა მეჩაიეებმა, მეციტრუსეებმა და მეხილეებმა, რომლებმაც სამშობლო გაამდიდრეს მაღალი მოსავლებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის დიდი მუშობა გაწიეს ჩვენმა მეცნიერებმა, ნოვატორებმა, გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. უკეთ ხელმძღვანელობს სოფლის ნოვატორებს **საბჭოთა კავშირის** გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.

ტექნიკური პროგრესის შემოქმედთა ახალი მიჯნები

ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს სოფლის მეურნეობის დარგის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა III რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა

მსოფლიოში პირველად საქართველოში შეიქმნა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, რისთვისაც მეცნიერთა და კონსტრუქტორთა ჯგუფმა ლენინური პრემია მიიღო. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტმა მედლებით „ააჯილდოვა რესპუბლიკის მოწინავე რაციონალიზატორები — დიღმის მოტორშემკეთებელი ქარხნის მუშა ს. გელეიშვილი, „საქსოფლტექნიკის“ სართიჭალის განყოფილების მექანიკოსი დ. წილოსანი და სხვები.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში სულ უფრო ფართოდ ინერგება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მეტად მნიშვნელოვანი წინადადებანი. შარშან მათ წამოაყენეს 785 წინადადება, რომელთაგან წარმოებაში დაინერგა 500-ზე მეტი, რის შედეგად სოფლის მეურნეობაში დაიზოგა 1.800 ათას მანეთამდე. სოფლის მეურნეობის დარგის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა I რესპუბლიკურ თათბირამდე, რომელიც 1966 წელს გაიმართა, წინადადებათა რიცხვი უფრო და 256, წარმოებაში კი დაინერგა 162.

მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, გამომგონებლებს, რაციონალიზატორებსა და წარმოების მუშაკებს დასახული აქვთ უფრო პასუხსაგები ამოცანები — წარმატებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი. ამისათვის აქტიურად უნდა გამოიყენონ არსებული რეზერვები, უფრო ფართოდ დანერგონ ეკონომიური სტიმულირება და ამით ხელი შეუწყონ ყველა სამეურნეო ამოცანის წარმატებით შესრულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის დარგის ნოვატორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა გამომგონებლისა თუ რაციონალიზატორის წინადადებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის, დროულად არ ამჩნევენ, არ ითვალისწინებენ, არ ნერგავენ წარმოებაში. ზოგჯერ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს საკმაო დაბრკოლებას აწყენენ წინადადებათა შემუშავებისა და განხორციელებაში, დაგვიანებით ან სულ არ აძლევენ საავტორო მოწმობებს. სამინისტროები და უწყებები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოვლენებას, აღრიცხვასა და დანერგვას. რესპუბლიკაში დღემდე არ შექმნილა საექსპერიმენტო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებას და საცდელი ნიმუშების დამზადებას. ამის გამო ბევრი ახალი იდეა და წინადადება განუხორციელებელი რჩება.

სოფლის მეურნეობის დარგის გამომგონებელთა და **რაციონალიზატორთა III რესპუბლიკური თათბირის** მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ ტექნიკური პროგრესისათვის მებრძოლთა შორის გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის;

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებების ფართო დანერგვის გზით მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას სოფლის მეურნეობაში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მატერიალური სახსრების რაციონალურად გამოყენებას;

კიდევ უფრო აამაღლონ მიწათმოქმედების კულტურა, გაზარდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ყველა მეურნეობის რენტაბელობა;

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს დანერგონ სოფლის მეურნეობაში 250 რაციონალიზატორული წინადადება და ამით დაზოგონ სულ ცოტა 1.200 ათასი მანეთი.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის მუშაკთა ვალდებულებით კეთილსინდისიერად, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე რაციონალიზატორთა რიცხვი გაზარდონ ოთხამდე ყოველ 100 მომუშავეზე, დანერგონ 350-ზე მეტი წინადადება და ამით დაზოგონ დაახლოებით 150 ათასი მანეთი, მოაწყონ მიმდინარე წლის თებერვლის სახელოსნოს ბაზაზე იქსპერიმენტული ქარხანა, რომელიც დაეხმარება სოფლის მეურნეობის დარგის „ყველა“ გამომგონებელსა და რაციონალიზატორს ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებითა და იქსპერიმენტული ნიმუშების დამზადებით.

მაღალი ვალდებულებანი იკისრეს მილიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის, პოლიეთილენის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის, „საქკონსერვხილბოსტანის“ სახელმწიფო კომიტეტების გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა.

თათბირის მონაწილეებმა მიზანშეწონილად ცნეს მოეწყოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა თათბირები ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ყველა რაიონში. მათ მოიწვიეს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლებლებსა, კოლექტივებს ყოველმხრივ დაეხმაროონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმოების კულტურის ამაღლებაში, სოფლის მეურნეობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვაში, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებების სრულყოფისა და წარმოებაში მათ დანერგვაში, ყოველნაირად შეუწყონ ხელი გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგების ზრდას.

თათბირის მონაწილეებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ სამინისტროები და უწყებები დროულად აღვლენდნენ, ითვალისწინებდნენ და ნერგავდნენ რაციონალიზატორთა საყურადღებო წინადადებებს. გადაწყვეტილია პერიოდულად მოეწყოს ნოვატორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებების ესტაფეტები, კონკურსი-დათვალიერებანი. მთელი მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას, იმას, რომ ახალი მიღწევებით აღინიშნოს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და **საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი.**

მაესწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატების

მიმართვა

სსრ კავშირის ყველა მასწავლებლისადმი, სასაღლო განათლების მუშაკებისადმი, მშობლებისა და საზოგადოებრიობისადმი

(დასასრული).

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული საშუალო სკოლისა და მასწავლებლის წინაშე კომუნისტური მშენებლობის თანამდროვე ეტაპზე. მათ შორის უმნიშვნელოვანესია საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება. მძაფრი მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის პირობებში საყოველთაო საშუალო განათლება ობიექტური საჭიროება გახდა და მან უნდა უზრუნველყოს მოზარდ თაობათა ყოველმხრივი განვითარება, კომუნიზმის ღირსეული მშენებლების მომზადება. საშუალო განათლების განვითარების საქმეში არსებითი წვლილი შეაქვთ ავრეთვე საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და პროფესიონალ-ტექნიკურ სასწავლებლებს.

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობა მოუწოდებს სახალხო განათლების ყველა მუშაკს საზოგადოებრიობასთან ერთად ყველაფერი იღონოს საშუალო სკოლების და სხვა საშუალო სასწავლებლების ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის და იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ძირითადად 1970 წლამდე წარმატებით განხორციელდეს მოზარდი თაობისათვის საყოველთაო საშუალო განათლება.

პარტია და მთავრობა საბჭოთა მასწავლებლების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ საკვირო ამბულორნ ზოგადსაგანმანათლებელო, შრომის, პოლიტექნიკური სკოლების სასწავლო და ალმზრდელობითი მუშაობის დონე. თვითეულმა მასწავლებელმა თავისი მეცადინეობა უნდა მოახმაროს შემდეგი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გაღაწყვეტას: შეიარაღოს მოსწავლენი მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით; ჩაუნერგოს მათ მაღალი კომუნისტური შეგნება; ახალგაზრდობა მომაზადოს ცხოვრებისათვის. პროფესიის შეგნებული არჩევისათვის, აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

სკოლის წინაშე დასახულია რთული ამოცანები, განსაკუთრებით ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლა, რაც სახალხო განათლების ორგანოების მუშაკებისა და სკოლების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს, რომ ძირეულად გაუმჯობესონ ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდი, კიდევ უფრო აამაღლონ მთელი ორგანიზაციულ-პედაგოგიური მუშაობის დონე, გაუძლიერონ დახმარება მასწავლებლებს კვალიფიკაციისა და პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განსაკუთრებით ზრუნავს ახალი თაობის აღზრდისათვის, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. ჩვენს ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა სკოლა მარტო განათლებულ ადამიანებს როდი ამზადებს. იგი პასუხს აგებს იმისათვის, რომ სკოლებიდან გამოდიოდნენ პოლიტიკურად წიგნიერი, კომუნიზმის საქმისათვის იდეურად მტკიცე მებრძოლები. კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბება მოითხოვს ღრმა და სერიოზულ მიდგომას სკოლაში ალმზრდელობითი მუშაობის ხასიათისადმი, მეთოდებისა და ფორმებისადმი.

იდეური რწმენის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანას განსაზღვრავს აგრეთვე სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლა. თანამედროვე მსოფლიოში იბრძვის ორი იდეოლოგია: კომუნისტური — ნამდვილად მეცნიერული, პროგრესული, ჰუმანური იდეოლოგია და მისდამი მტრული ბურჟუაზიული — ცრურწმენიერული, რეაქციული, ანტიადამიანური იდეოლოგია. ჩვენ ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ იდეოლოგიის დარგში შეუძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობა, ისევე როგორც არ შეიძლება კლასობრივი მშვიდობა მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბურჟუაზიული პროპაგანდისტები ცდილობენ გამხრწნელი გავლენა მოახდინონ საბჭოთა ადამიანებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე, ცდილობენ გაალიცხლონ წარსულის გადმონაშთები და ცრურწმენანი, გაალვივონ ნაციონალიზმი და ინდივიდუალიზმი, შულილი ჩამოაგდონ ხალხებს შორის.

დღეს განუზომლად იზრდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა მნიშვნელობა მოსწავლეთა სწავლებასა და კომუნისტურ აღზრდაში. მასწავლებელმა, როცა აყალიბებს მოსწავლეთა მსოფლმხედველობას მუშანიტარულ და საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ მეცნიერებათა სწავლების პროცესში, კონკრეტული ფაქტებითა და მაგალითებით, საგნის ლოგიკის დაურღვეველად, უნდა ცხადყოს საბჭოთა ხალხის მიღწევები.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოვიყენონ ყველა საშუალება და განსაკუთრებით უფროს თაობათა გამოცდილება, ჩვენი ხალხის შესანიშნავი რევოლუციური და შრომითი ტრადიციები, რათა ბავშვებს ჩაუნერგოთ საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა. დღევანდელი მოსწავლეები ჩვენი ქვეყნის მომავალი ბატონ-პატრონები არიან და ამიტომ საბჭოთა ხალხის. ბრძოლა კომუნიზმისათვის მათ უნდა აღიქვან როგორც საქმე, რომლისთვისაც თვითონაც თავდადებით უნდა იშრომონ. ტაჯიკთა ყოველდღიურად და დაუცხრომლად ვზრდიდეთ მოსწავლეებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმური ერთობის მაცოცხლებელი ძალის, სოციალისტური ქვეყნების მშრომელებთან მეგობრობის, კოლონიალიზმისა და კაპიტალისტ ბატონობის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ხალხთან სოლიდარობის სულისკვეთებით.

მასწავლებელთა უპირველესი მოვალეობაა გააქტიურონ შეტევითი ბრძოლა ჩვენთვის უცხო მორალის წინააღმდეგ, აღკვეთონ უდისციპლინობის, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და წესების დარღვევის, სწავლისა და საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობისათვის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების უმცირესი ფაქტებიც კი. საჭიროა, რომ თვითეულმა მოსწავლემ არა მარტო შეითვისოს პროგრამით განსაზღვრული ცოდნა, არამედ, აგრეთვე განუხრელად ხელმძღვანელობდეს ამ ცოდნით თავის საქმეებსა და ქცევაში. თვითეული ახალგაზრდის მორალური მრწამსი უნდა გახდეს ჩვენი ზნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი ნორმები, როგორიცაა კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი. და ზრუნვა საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის, კოლექტივიზმი და ამხანაგობის მაღალი სულისკვეთება, სოციალისტური ჰუმანიზმი და მებრძოლი ათეიზმი, პატიოსნება და სამართალი, შეურიგებლობა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებისა და წარსულის გადმონაშთების სხვა გამოვლინებათა მიმართ.

სკოლამ ყოველი ღონისძიებით უნდა განამტკიცოს კავშირი საწარმოო კოლექტივებთან. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სკოლის კურსდამთავრებულთა ფართო წარმოდგენა ჰქონდეთ თანამედროვე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლებზე, მათს დიდად განვითარებულ ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე. სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა დახმარებით უნდა ვეწიოდეთ სერიოზულ და საფუძვლიან მუშაობას მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის. პოლიტექნიკური განათლებისა და შრომითი აღზრდის მიზნით ყოველნაირად უნდა წვალობელოთ და გავაკრცელოთ ტექნიკური შემოქმედება, ნორჩ ნატურალისტთა და საცდელი მუშაობა, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მოწინავე გამოცდილება.

სკოლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ყრილობას მიაჩნია მთელი კლასგარეშე, სკოლისგარეშე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით სხვადასხვა წრეების, საზოგადოებების, გაერთიანების გაფართოება, მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნა მოსწავლეთა ინიციატივის და შემოქმედებითი ჩანაფიქრების გამოვლინებისათვის, ნიჭისა და უნარის განვითარებისათვის. თვითეული მასწავლებლის კეთილშობილური და საპატიო მოვალეობაა აზიაროს ბავშვები შშობილური და მსოფლიო კულტურის საგანძურს, ჩამოუყალიბოს მათ სწორი და ესთეტიკური შეხედულებები და პრინციპები, ჩაუნერგოს ღრმა პატივისცემა კულტურის ძეგლებისადმი, ხალხური შემოქმედებისადმი, მუსიკის, ლიტერატურის, ფერწერის ნაწარმოებებისადმი. ფართოდ უნდა განვავითაროთ ტურიზმი და მხარეთმცოდნეობა როგორც მოსწავლეთა აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას. ფიზიკური კულტურა, სკოლაში — ეს უწინარეს ყოვლისა არის ზრუნვა ყველა მოსწავლის განვითარებისა და ჯანმრთელობისათვის. საჭიროა აქტიურად გამოვიყენოთ სპორტული მეცადინეობა იმისათვის, რომ ბავშვებს განუფითარონ მაღალი ზნეობრივი თვისებები, ნებისყოფა. ჯანსაღი, ფიზიკურად განვითარებული ახალგაზრდა თაობის აღზრდის ამოცანის გადაწყვეტაში სკოლას ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკების მუდმივი დახმარების იმედი აქვს.

მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდაში სკოლის, მასწავლებლების მეგობარი და თანაშემწე ყოველთვის იყო და არის ლენინური კომკავშირი. სრულიად საკავშირო ალკა რიგებში ექვს მილიონამდე მოსწავლეა. სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაცია ოცდახამ მილიონ ნორჩ ლენინელს აერთიანებს თავის რიგებში, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები სკოლებში ეწევიან ღრმა-შინაარსიან, მრავალმხრივ მუშაობას, ბავშვებს უნერგავენ პატრიოტიზმის იდეალებს ერთგულებას, ცოდნისადმი მისწრაფებას, აჩვენებენ შრომასა და აქტიურ, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას. მასწავლებლები, პედაგოგთა კოლექტივები, ყოველდღიურად უნდა ეურდნობოდნენ მოსწავლეთა ამ მასობრივი ორგანიზაციების დახმარებას, ხელს უწყობდნენ მათი ავტორიტეტის ზრდას, მეტ ნდობას იჩენდნენ კომკავშირელებისა და პიონერების მიმართ, დამოუკიდებლობას ანიჭებდნენ მათ მოსწავლეთა კოლექტივის ცხოვრების საკითხების გადაჭრაში. სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების წარმატებით მუშაობის, მათი ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარების აუცილებელი პირობაა მასწავლებელთა დიდი დაინტერესება პიონერთა და კომკავშირელთა საქმეებით, მოსწავლეთა კომუნისტური ორგანიზაციების პრინციპების, კანონებისა და თვითმოქმედების ტრადიციების პატივისცემა.

ოჯახში ბავშვების აღზრდის სწორად დაყენება, მშობლებისა და უფროსების პირადი მაგალითი ბავშვთა პიროვნების, მათი შეხედულებების ჩამოყალიბების, ქცევის, საზოგადოებაში ყოფაქცევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. სკოლა წამყვან როლს ასრულებს მოზარდი თაობის აღზრდაში. მაგრამ სწორედ ოჯახი აძლევს ბავშვს ცხოვრების პირველ გამოცდილებას, სწორედ ოჯახში ეურება საფუძველი ბასიათსა და მორალურ სახეს, სწორედ ოჯახზე ბევრად არის დამოკიდებული მოზარდი ადამიანის ინტერესთა და მიდრეკილებათა მიმართულება. ოჯახში ურთიერთობამ შეიძლება შექმნას ბავშვის სრულფასოვანი და ბედნიერი განვითარების პირობები. არაფერი არ მოქმედებს ბავშვებზე ისე შედეგიანად, როგორც მაგალითის ძალა, ხოლო ყველა სხვა მაგალითთაგან არც ერთს არა აქვს ისეთი ძალა, როგორც შშობლების მაგალითს. სკოლა და ოჯახი მხარში უნდა ედგნენ ერთმანეთს ბავშვების აღზრდაში. ამ მიზნით უნდა გავაფართოოთ პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდა შშობლებში. ყრილობა მოუწოდებს ყველა შშობელს იყვნენ სკოლის ყველაზე აქტიური თანაშემწენი, მოსწავლეთა მრავალმხრივი და სახარგებლო საქმიანობის ორგანიზატორები სწავლისაგან თავისუფალ დროს.

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობა იმედს ამყარებს მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა აქტიურ დახმარებაზე მოსწავლეთა შორის უახლეს მეცნიერულ მიღწევათა პროპაგანდაში, კვალიფიციური სახელმძღვანელობის, მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის შექმნაში ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის, საბჭოთა მოსწავლეების მრავალმხრივი შემეცნებითი ინტერესების განვითარებაში.

სწავლებისა და აღზრდის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასწავლებლთა და მეცნიერთა თანამეგობრობასა და მოქმედების ერთობაზე პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და ასაკობრივი ფიზიოლოგიის დარგში. მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობა ქმაყოფილებით აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში მეცნიერმა-პედაგოგებმა შექმნეს სკოლის განვითარების აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ნაშრომები. სკოლა და ცხოვრება პედაგოგიკის მეცნიერებას უყენებენ ახალ მოთხოვნებს — ერთ-ერთ პირველ ადგილზე აყენებენ განათლების ახალ შინაარსზე ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის გადაყვანასთან დაკავშირებულ პრობლემებს: თანამედროვე პირობებში მოსწავლეთა შრომითი და პოლიტექნიკური სწავლების, სკოლის მუშაობის შედეგიანობის გადიდების, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის, ზოგადი, საბავშვო და პედაგოგიური ფსიქოლოგიის, მოზრდილთა განათლების საკითხებს. მასწავლებელს უფლება აქვს იმედოვნებდეს, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერები და სახალხო განათლების ორგანოები ხელს მოუკიდებენ პედაგოგის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრობლემას.

მოსწავლეთა ესთეტიკური, ზნეობრივი, იდეური აღზრდის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი უნდა შეიტანონ საბჭოთა კულტურის მოღვაწეებმა — მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა.

მასწავლებლები და მოსწავლეები მოელიან ახალ შინაარსიან მხატვრულ ნაწარმოებებს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებშიც ასახული იქნება საბჭოთა ადამიანის სულიერი სიდიადე, სილამაზე და კეთილშობილება, რომლებიც უმღერენ შრომასა და შემოქმედებითი შრომის ადამიანებს, მოელიან ისეთ მხატვრულ სახეებს, რომლებიც საბჭოთა მოსწავლის იდეალი გახდება. ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ახალი ფილმების, სპექტაკლების შექმნა, სიმღერების, მუსიკის დაწერა, ფორმით ფერადოვანი და შინაარსით ღრმა სურათების შექმნა შესანიშნავი საჩუქარი იქნება საბჭოეთის სკოლასათვის, მისი ბავშვებისათვის.

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობა მოუწოდებს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს დაეხმარონ სკოლას, მასწავლებლებს სკოლის თვითმოქმედი სტუდიების, თეატრების, ანსამბლების, წრეების საინტერესო, ღრმაშინაარსიანი მუშაობის მოწყობაში, შემოქმედებისა და თვითმოქმედების განვითარებაში, მაღალი ესთეტიკური გემოვნების დანერგვაში.

მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა საყოველთაო სახალხო საქმეა, რომელიც მოითხოვს სკოლისა და მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივთა, მთელი სიბჭოთა საზოგადოებრიობის მჭიდრო თანამეგობრობას. ეს თანამეგობრობა უნდა ვლინდებოდეს უწინარეს ყოვლისა მოზარდ თაობაზე ერთიანი აღმზრდელობითი ზეგავლენით. ბევრი სკოლა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის აღჭურვილი სწავლების ტექნიკური საშუალებებით. ყოველ სკოლაში როდი ნახავთ სასწავლო და თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა კომპლექტს. მასწავლებელთა ყრილობა იმედოვნებს, რომ იმ ფაბრიკებისა და ქარხნების კოლექტივები, რომლებიც ამზადებენ სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, ჩვენი ქვეყნის გამომცემლობებისა და სტამბების მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, ითა სკოლა აღჭურვონ თანამედროვე მოწყობილობით, ხელსაწყოებით, ყოველნაირი სასწავლო-თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით.

ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა განათლებაზე ხელმძღვანელთა, დაწყებითებით უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლეთა ესთეტიკურ განვითარების ამოცანის შექმნა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი თანამედროვე სკოლის შენობების აშენებას, სადაც იქნება კაბინეტები, სპორტული დარბაზები, სახალიერები, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა სახლებისა და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებათა მშენებლობას. მასწავლებელთა ყრილობა მოუწოდებს მშენებლებს, არქიტექტორებს, დამპროექტებლებს, რაც შეიძლება სწრაფად შექმნან სკოლის შენობათა ახალი თანამედროვე პროექტები, აშენონ ისინი დადგენილ ვადებში და მხოლოდ „კარგსა“ და „ფრიადზე“.

ძვირფასო ამხანაგებო!

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევა სახალხო განათლების მუშაკებმა აღიქვეს როგორც სკოლისათვის, სახალხო მასწავლებლისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის ახალი მკაფიო დადასტურება. ყრილობის მოწყობა დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მზადების გზაზე.

ვ. ი. ლენინი იდგა საბჭოთა სკოლის სათავეებში. იგი ყოველთვის განსახილველად და ყოველი ჩვენგანისათვის დღესაც განსახილველს კომუნიზმის იდეებისადმი უმაღლეს ერთგულებას, მათი გამარჯვებისადმი უარეულ რწმენას. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითით, ლენინური იდეებით იზრდებოდა და იზრდება საბჭოთა ადამიანების თაობები. ყოველი მასწავლებლის, ყოველი საბჭოთა ადამიანის მოვალეობაა ვ. ი. ლენინისაგან ისწავლის საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ მოვლენებში ღრმად ჩაწვდომა, პრინციპულობა იდეურ ბრძოლაში, მუშაობა, იდეური რწმენის განხორციელება ყოველდღიურ საქმეებში!

ჩვენ, სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები, ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის მასწავლებლები, სახალხო განათლების მუშაკები, შშობლებთან და მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობასთან ერთად, ერთგულ, ერთგულ, ერთგულ

ჩვენი საბჭოთა დემოკრატია

პირველი საბჭოთა კონსტიტუციის 50-ე წლისთავისათვის

ახლოვარ საუკუნის წინათ, 1918 წლის 10 ივლისს სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობამ მიიღო რსფსრ კონსტიტუცია — მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

იმ დროს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა ალაკით სულ რაღაც რვა თვისა იყო. რუსეთის დამხობილ ექსპლოატატორულ კლასებს, აგრეთვე დასავლეთის მმართველ ბურჟუაზიას მაშინ კიდევ არ სჯერდათ, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც ძლეულ-ამოსილი ოქტომბრის შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლების საჭესთან დადგნენ, ხანგრძლივად გაძლეებდნენ. ისინი დღედღეზე ელოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. და მათი ლოდინი პასიური რიდი იყო. ისინი აკვირდნენ ყოველივეს, რაც კი შესაძლებელი ყო, რათა გამოეწვიათ პროლეტარული რევოლუციის დაღუპვა. ივლისის დღეებში, როცა მოსკოვის დიდ თეატრში შუბლობა დაიწყო სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობამ, მემარცხენე ესერებმა თეორიულ-რევოლიუციანა და უცხოეთის ზოგიერთი მისიამ მხარდაჭერით მოახდინეს შეიარაღებული ამბოხება მუშურ-გლეხური მთავრობის დამხობისა და ყოფილ ბატონთა ძალაუფლების აღდგენის მიზნით.

რუსეთის ხალხებს უჭირდათ დაეწყოთ ახალი ცხოვრების შენება. მაგრამ ათეულ მილიონობით ადამიანი, რომლებმაც იწამეს ამ ახალი ცხოვრების რეალობა, ფიზზე დადგნენ სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. და ეს იყო ახალი წყობილების ძალის, უძლეველობის საწინდარი. აი რატომ დაამთავრა ვ. ი. ლენინმა თავისი მოხსენება საბჭოების ყრილობაზე შემდეგი სიტყვებით: „არავითარი ეჭვი არაა, რომ თუ ჩვენ წაგალთ იმ გზით, რომელიც ავირჩიეთ და რომელიც მოვლენებმა დაადასტურეს, თუ ჩვენ მტკიცედ და ანუბრწყლად ვიარეთ ამ გზით, თუ ჩვენ სწორი გზიდან თავს არ ავიცდენენთ არც ფრაზებს, არც ილუზიებს, არც მოტყუებას და არც ისტერიკას, მაშინ ჩვენ მსოფლიოში უდიდესი შანსები გვაქვს ინახათვის, რომ გავმაგრდეთ და მტკიცედ დავეხმაროთ სოციალიზმის გამარჯვებას რუსეთში...“

ყრილობის მიერ მიღებულ კონსტიტუციაში ნაწერილი იყო: რუსეთი ცხადდება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების რესპუბლიკად. მთელი ძალაუფლება ცენტრში და ადგილებზე ამ საბჭოებს ეკუთვნის. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა არსდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე როგორც საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფედერაცია.

კონსტიტუცია აცხადებდა ადამიანის მიერ ადამიანის ყოველი ექსპლოატაციის მოსპობას. ამ ამოცანის განხორციელების მიზნით უქმდებოდა მიწის კერძო საკუთრება, მიწა მთელი ხალხის კუთვნილებად ცხადდებოდა. როგორც პირველი ნაბიჯი ფაბრიკების, ქარხნების, სამადნეების, რკინიგზების და წარმოების სხვა საშუალებების რესპუბლიკის საკუთრებად სავსებით გადასვლისათვის მტკიცდებოდა კანონი მუშათა კონტროლის შესახებ.

მშრომელთათვის რომ უზრუნველყო ნამდვილად დემოკრატიული თავისუფლებანი, კონსტიტუცია ითვალისწინებდა ისეთ ღონისძიებებს, როგორიც იყო მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობისათვის მთელ ტექნიკურ და მატერიალურ საშუალებათა გადაცემა გაზეთების, ჟურნალების, წიგნების გამოსაცემად და გასავცელებლად, შენობების მიცემას სახალხო კრებების გასამართავად, მშრომელთათვის ყოველნაირად ხელის შეწყობა მასობრივ ორგანიზაციებად მათი გაერთიანებისათვის. იმ მიზნით, რომ მშრომელთათვის უზრუნველყოფილი ყოფილიყო სინდისის ნამდვილი თავისუფლება, ეკლესია გამოიყო სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან. რესპუბლიკაში შემოღებულ იქნა უფასო განათლება.

ასე დამკვიდრებულ იქნა დაბადება საბჭოთა დემოკრატიისა, რის შესაბამისად სახელმწიფოს მართვა იწყეს სწორედ იმ კლასებმა, რომლებსაც ექსპლოატატორები აბუჩად იგდებდნენ. ისტორიაში პირველად იმვა ხალხის მასების შეგნებულობასა და ორგანიზებულობაზე დაყრდნობილი სახელმწიფო.

საბჭოები, რომლებიც რევოლუციურმა ხალხმა ჯერ კიდევ ოქტომბრის გამარჯვებამდე შექმნა, გადაიქცნენ ყოველისმომცველ და ყველაზე წარმომადგენლობით ორგანოებად, რომელთა მეშვეობით მშრომელთა ფართო მასები აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ებმებოდნენ. საბჭოებმა უდიდესი როლი შეასრულეს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად ახალი, სოციალისტური ურთიერთობის შექმნაში.

საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების კვალობაზე ვითარდებოდა და სახეს იცვლიდა მისი ძირითადი კანონი — კონსტიტუცია. 1922 წელს თავისუფალ ხალხთა ნებით შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. 1924 წელს სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობამ მიიღო ახალი საკავშირო კონსტიტუცია, რომელიც მოქმედებდა 1936 წლამდე. მაგრამ უკვე 1935 წლის თებერვალში საბჭოების VII სრულიად საკავშირო ყრილობამ გამოაქვეყნა დადგენილება ამ კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომელთა მიზანი იყო საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაცია (არასავსებით თანასწორი არჩევნების შეცვლა თანასწორით, მრავალსაფეხურიანისა — პირდაპირით, ღია არჩევნებისა — დასურულით), აგრეთვე კონსტიტუციის სოციალურ-ეკონომიური საფუძვლის დაზუსტება. გთავალისწინებული იყო, რომ კონსტიტუცია შესაბამისი გამხდარიყო კლასობრივ ძალთა ახალი თანაფარდობისა, რომელიც ჩამოყალიბდა სოციალისტური ინდუსტრიის შექმნის, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების, წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრების როგორც საბჭოთა საზოგადოების ეკონომიური საფუძველის დამკვიდრების შედეგად.

ამ დროისათვის სოციალისტური მეურნეობის წილმა წარმოების საშუალებათა საერთო ჯამში 90 პროცენტს გადაამეტა. თავისი კლასობრივი შემადგენლობის მიხედვით საბჭოთა საზოგადოება ასე გამოიყურებოდა: მუშები და მოსამსახურეები — 35 პროცენტი, კოლმეურნე გლეხები კოოპერირებულ შინამრეწველებთან ერთად — 55 პროცენტი, ერთპიროვნული გლეხები და არაკოოპერირებული შინამრეწველები — 6 პროცენტი, დანარჩენი მოსახლეობა (მოსწავლენი, სამხედრო მოსამსახურენი და სხვ) — 4 პროცენტი.

კაპიტალისტური ელემენტები ჩვენს ქვეყანაში არ იყო.

სოციალიზმის გამარჯვებამ შექმნა პირობები იმისათვის, რომ გაუქმებულიყო ყოველგვარი შეზღუდვები დემოკრატიულ უფლებებში (კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ეს შეზღუდვები ვრცელდებოდა ექსპლოატატორებსა და მათს დამჭაბებზე). გაუქმებულ იქნა აგრეთვე მუშების ზოგიერთი უპირატესობანი გლეხების წინაშე საბჭოების არჩევნებში.

არჩევნები საყოველთაო გახდა, ყველა მოქალაქემ თანასწორი უფლებანი მიიღო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა. საბჭოებს, რომლებსაც წინათ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები ეწოდებოდათ, საბჭოების სავანგებო VIII სრულიად საკავშირო ყრილობების მიერ 1936 წელს მიღებული ახალი კონსტიტუციის შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ეწოდათ.

ახალმა კონსტიტუციამ აღიარა საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და მოვალეობანი, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტიდან. მათ შორის არის შრომის უფლება, ესე იგი გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება, განათლების უფლება, დასვენების უფლება სრული ხელფასის შენარჩუნებით, მოხუცებულობაში ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში უზრუნველყოფის უფლება.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ბევრს ლაყბობენ პიროვნების თავისუფლებაზე. მაგრამ რა პირადი თავისუფლება შეიძლება ჰქონდეს უმუშევარს ან ღარიბს, რომელსაც ლუმპაური და თავშესაფარი არ მოუპოვება. რა პირად თავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ კაპიტალისტური სამყაროს უმდიდრეს ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოფიციალურ მონაცემებით, 30 მილიონამდე ღარიბია? დასასრულ, რა პირადი თავისუფლება შეიძლება ჰქონდეს სამხრეთ აფრიკის ზანგ მოსახლეობას, თუ იქ აპარტეიდის პოლიტიკა ხორციელდება?

პირადი თავისუფლება განუყოფელია მისი რეალური გარანტიებისაგან, ამ გარანტიების ყველასათვის მიცემა კი მხოლოდ სოციალისტურ წყობილებას შეუძლია. და ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის მშრომელებს უმუშევრობა და გაჭირვება აღ ეშუქრება, ასეთი გარანტიების სიმტკიცის საუკეთესო დამადასტურებელია. ავტორი წიგნისა — „საბჭოთა პოლიტიკური სისტემა“, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ალფრედ

ყოჩაღ, ქართველო ახალგაზრდობა!

8 ივლისს მოსკოვში პროფტექნიკური განათლების მოსწავლეთა ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების სრულიად საკავშირო გამოფენის დამთავალიერებელთა ყურადღების ცენტრში იყო საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელების მიერ ჩამოტანილი ექსპონატები. აქ მოეწყო საქართველოს სსრ ეროვნული დღე. ტრადიციული ქართული მისალმებით „გამარჯობათ!“ შეხვდა დამთვალიერებლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ჩიხლაძე.

რესპუბლიკის პროფტექნიკურ სასწავლებლებთან შექმნილია ტექნიკური შემოქმედების ახზე მეტი წრე. ამ წრეებში მეცადინეობისას ნორჩი ხელმარჯვეები ქმნიან სხვადასხვა მანქანების, ხელსაწყოების მოქმედ მოდელებს, სწვდებიან მხატვრული ქედურობის საიდუმლოებას. გამოფენაზე ნაჩვენებია ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ მოქმედი მოდელი, რომელიც შექმნეს ქუთაისის მეოთხე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა. მწვანე ჩაის ფოთლის საღნობი აგრეგატის მოქმედი მოდელი, რომელიც წარმოადგინეს ბათუმის პროფტექნიკური სასწავლებლის ნორჩმა ტექნიკოსებმა. მოსკოველთა ყურადღება მიიპყრო რაკეტების გასაშვებმა ორიგინალურმა დანადგარმა, რომლებიც ფანტავენ სტატვის ღრუბლებს. დანადგარი გაკეთეს თბილისის № 6 პროფტექნიკური სასწავლებლის ტექნიკური წრის წევრებმა.

ბევრი ხალხი შეიკრიბა სტენდებთან, რომლებზეც გამოფენილია თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 მხატვრული პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა სპილენძზე ქართული ჭედურობის ნიმუშები და გრავიურები. შარშან მათი ნამუშევრები — ბარელიეფები შოთა რუსთაველი, „მკელი“, „მთიბავები ისვენებენ“, „ხვნა“ დემონსტრირებული იყო მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე.

მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს „შრომითი რეზერვების“ სურათებზე თქვენ ხედავთ თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა ორ ნამუშევარს, რომლებიც გამოფენილია მოსკოვში: III კურსის მოსწავლის ანა ჭინჭარაულის ჭედურ ნამუშევარს „შემოდგომა“ (ბარჯვნივ) და მეორეკურსელის ელზუკა კაკაშვილის მოდელირებულ ქანდაკებას „ბოზინას პორტრეტი“.

ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 15 წლისაა

გაიმართა ჟურნალ **„საბჭოთა სამართლის“** 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენება ჟურნალის მუშაობის შესახებ გააკეთა მისმა რედაქტორმა **ო. კაციტაძემ.**

ჟურნალის რედაქციის კოლექტივს იუბილი მიულოცეს რესპუბლიკის პროკურორმა **ვ. ბერძენიშვილმა,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. მაისურაძემ,** ჟურნალ **„სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტის“** მთავარმა რედაქტორმა **ნ. კონდრაშოვმა,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა **ვ. აბაშმაძემ,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **გ. ყვანიამ,** სახელმწიფო არბიტრაჟის თანამშრომელმა **ლ. ჩორგოლაშვილმა.** (საქდისი).

მომღერლის გზა



ქართველ კომპოზიტორთა საოპერო ნაწარმოებებს სული შთაბერა იმ ქართველ მომღერალთა თაობამ, რომელთა სახელი განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა მუსიკასთან. საოპერო სცენიდან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გაისმოდა თამარ ლაპიაშვილის ხმა. პატარა კახელი გოგონა ბავშვობიდანვე ოცნებობდა სიმღერაზე. სანდრო ახმეტელმა პირველივე მოსმენისას თამარს საოპერო კარიერა უწინასწარმეტყველა. „ურმულითო“ და უნოტებოდ, სმენით შესწავლილ ეთერის არიით მიადგა თამარ ლაპიაშვილი თბილისის კონსერვატორიის კარს. მოვიდა სრულიად გამოუცდელი, მას არასოდეს არ უმღერია არც ერთი კლასიკური ნაწარმოები. იგი გამოსცადეს ზ. ფალიაშვილმა, დ. არაყიშვილმა, ო. შულგინა-ბახუტაშვილმა. მათ ერთხმად აღიარეს, რომ თამარს ძლიერი, ლამაზი, დიდი დიაპაზონის ხმა აქვს.

თამარ ლაპიაშვილისათვის მართლაც საამაყოა, რომ თვით ზაქარია ფალიაშვილმა შეასწავლა მას ქალთა პარტიები თავის ოპერებში, თვლიდა რა მას ეთერისა და მაროს ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად.

თავისი სცენური მოღვაწეობის მაძალლზე თ. ლაპიაშვილმა იმღერა მრავალი საოპერო პარტია ქართულ, კლასიკურ, რუსულ და დასავლეთევროპულ ნაწარმოებებში, გამოდიოდა ბევრ გამოჩენილ პარტნიორთან.

მაგრამ განსაკუთრებული, თავისი საკუთარი ფურცელი ჩაწერა მან საბჭოთა საოპერო ყანრის ისტორიაში.

თ. ლაპიაშვილის შემოქმედებითი გზა დაიწყო ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნების ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთ საინტერესო პერიოდში. ეს ის დრო იყო, როცა ქართულმა საბჭოთა ოპერამ მოიპოვა თავისი მოქალაქეობრივი უფლება, როცა იქმნებოდა ახალი საოპერო სტილი, როცა მომღერლებს სჭირდებოდათ ახალი ვოკალურ-საშემსრულებლო მანერის გამომუშავება. ლაპიაშვილმა შეასრულა წამყვანი პარტიები თითქმის ყველა ქართულ ოპერაში, რომლებიც ამ პერიოდში შეიქმნა (ი. ტუსკიას „სამშობლო“, ა. კერესელიძის „მაში-აჩუკი“, ა. ბალანჩივაძის „მზია“, შ. მშვილიძის „ამბავი ტარიელისა“, ა. ანდრიაშვილის „კაკო ყიაზღი“, „ლაშქარა“ და კიდევ ბევრი სხვა).

თანამედროვე ქართულმა მუსიკამ საპატიო ადგილი დაიკავა თ. ლაპიაშვილის რეპერტუარში. შემთხვევითი არ არის, რომ ის მიიწვიეს ქართული მუსიკის პლენუმზე მოსკოვში, სადაც მან შეასრულა საოპერო არიები და ქართული საბჭოთა რომანსები და სიმღერები.

თ. ლაპიაშვილი მონაწილეობდა აგრეთვე ქართული საბჭოთა მუსიკის დეკადაზე მოსკოვში.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თბილისის საოპერო სცენაზე ჟღერდა თ. ლაპიაშვილის საუცხოო, ლამაზი, ძლიერი სოპრანო. მისი გზა ხელოვნებაში შშობლიური კულტურისადმი უანგარო სამსახურის გზაა. ადრე თუ გვიან მომღერლები ემშვიდობებიან შშობლიურ თეატრს. ასეთია სცენის უცილობელი კანონი. მაგრამ ზოგის კვალი წარუშლელი რჩება ხელოვნებაში. რჩენულთა შორის ასეთი კვალი ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში დატოვა თამარ ლაპიაშვილმა.

მირა ფიჩხაძე.

თ. ფ. ჯაფარიძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი



ეკიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის უროლოგიის კათედრის დოცენტმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა **თოფა ფილიპეს-ძე ჯაფარიძემ** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაციათემაზე: **„ლეტალობა უროლოგიურ დაავადებათა დროს“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა **თ. ფ. ჯაფარიძისათვის** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲒᲣᲚᲘ

რამდენ ამოხსნას პოულობენ ცოცხალ ბუნებაში ინჟინრები, ტექნიკოსები, ახალი მანქანების კონსტრუქტორები! ამ ცოტა ხნის წინათ მედუზის აპარატის დაკვირვებამ შესაძლებელი გახადა ისეთი აპარატის შექმნა, რომელიც შტორმის დაწყებას ოცი საათით ადრე გამოიცნობს, ხოლო ბუზის ყნოსვის არაჩვეულებრივად ფაქიზმა და მახვილმა მექანიზმმა შესაძლებელი გახადა სხვა ხელსაწყოს კონსტრუირება, რომლითაც შეიძლება შახტებში აფეთქების მხრივ საშიში მეთანის სულ უმნიშვნელო დოზების აღმოჩენა.

მაგრამ ამკერად საქმე სულ სხვანაირად იყო. ბუნებამ კი არ უკარნახა ადამიანს ტექნიკური გადაწყვეტა, არამედ ტექნიკის არსენალმა, გენერატორების რთულმა სისტემებმა შესაძლებლობა მისცეს საბჭოთა მეცნიერს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს რადომირ ბელიაკოვს მიახლოებოდა უფაქიზესი ცოცხალი მექანიზმის — გულის მოდელირებას.

რადომირ ბელიაკოვი ამ საკითხზე ეაუბრა ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტს სვეტლანა ვინოკუროვას.

— **ᲣᲕᲔᲚᲐᲕᲔᲠᲘ,** ვგონებ, 1958 წელს დაიწყო, ბრიუსელში მოწყობილი მსოფლიო გამოფენიდან, — ამბობს რადომირ ბელიაკოვი. — სხვა ექსპონატებს შორის იქ გამოფენილი იყო შვეიცარიელი პროფესორის, დოქტორ ვერნარ კუნის მიერ შექმნილი სინთეზური აპკი. ეგრეთწოდებული „ხელოვნური კუნთი“. ცნობილმა საბჭოთა ბიოლოგმა აკადემიკოსმა ვლადიმერ ენგელგარდტმა ჯერ კიდევ ომამდე ნათელყო მოძრაობის ქიმიური აზრი, მოახდინა ექსპერიმენტალური „კუნთების“ — „ცოცხალი“ პოლიმერებისაგან გაკეთებული კუშვადი ძაფების დემონსტრირება. დოქტორმა კუნმა კი შექმნა სინთეზური სისტემა, რომელსაც უნარი აქვს იკუმშებოდეს და ქიმიური შემადგენლობის შეცვლის დროს მექანიკური მუშაობას ასრულებდეს...

მეავათი ზემოქმედების მოხდენისას გამქვირვალე აპკი მაშინვე იკუმშებოდა, ტუტის გავლენით კი იგი კვლავ გრძელდებოდა. არსებითად ეს იყო ქიმიური ენერგიის პირდაპირი გარდაქმნა მექანიკურ ენერგიად.

— ეი სწორედ მაშინ მომივიდა აზრად, — განაგრძო მეცნიერმა, რა იქნება, ასეთ გარდამქმნელს „თვითრეგულირების“ რეჟიმი რომ შევუქმნა-მეთქი. ამ გზით შეიძლებოდა მიმეღო ავტონომიურად მომუშავე მფეთქავი პოლიმერული ძრავი...

თვითმართვა, უკუკავშირის მკონე გენერატორთა სისტემა — ყველაფერი ეს ნაცნობი იყო ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან. რადომირ ბელიაკოვი გენერატორებზე მუშაობდა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, კიევის კონონენკინერთა ინსტიტუტის აკუსტიკის ფაკულტეტზე, სადაც მივიდა ომის დამთავრების პირველ წლებში. შემდეგ ეს გახდა მისი საასპირანტო ნაშრომის თემაც.

— ლაბორატორიაში მიღებული პირველი აპკები ნაზი და მყიფე იყო, ოც გრამზე მხოლოდ ცოტა მეტ დატვირთვას უძლებდნენ, — გვიამბობს რადომირ ბელიაკოვი. — ახლა რამდენიმე კილოგრამი სიმძიმის ტვირთს უძლებენ. რამდენიმე სანტიმეტრის სიგანის ასეთი აპკები ვერტიკალურად მოვამაგრეთ ხსნარიან ჭურჭელში. ზედა, მოძრავი ბოლო ბერკეტის ერთ მხართან შევაერთეთ. მეორე მხარს მივამაგრეთ საპირწონე, გარდა ამისა, აპკები შევაერთეთ მესამე, სამართი მხარ-ბერკეტის ორივე მხარეს განლაგებულ ორ სარქველთან.

სისტემის ასამუშაებლად ახლა ისღა იყო საჭირო, რომ მოგვეხდინა მისი განბალანსირება ერთ-ერთი სარქველის ოდნავ გაღებით შიგ ტუტის ხსნარის შესაშვებად. ტუტის მოქმედებით აპკი დაგრძელდება, ტვირთი დაიწყვის „გადაძვრავს“, და ამოქმედდება ბერკეტის სამართი მხარი. ეს უკანასკნელი დასწევს ტუტის მიმწოდებელ სარქველს და გზას გაუხსნის მეავას. როგორც კი მეავას გავლენით აპკი იმდენად შეიკუმშება, რომ კვლავ დაორღვევა წონასწორობა, დაბასწონის აპკი, და ბერკეტი დახურავს მეავას მიმწოდებელ სარქველს. შემდეგ გენერატორი მუშაობდა უკვე დამოუკიდებლად, რაყევათა საკუთარი სიხშირითა და საკუთარი ამპლიტუდით. უკუკავშირის ჯაჭვი შეიკრა.

— მალე შევძელით შეგვექმნა ხელოვნური კუნთის მეორე, გაუჯობესებული ვარიანტი. ახალ მოდელში ხსნარებ მიეცინებოდნენ უკვე არა სამმიმის ძალის მოქმედებით, არამედ თვით „კუნთის“ შიგ ჩასმული ორი „კუნთი“. მათ გარსი ორ ნაწილად გაჰყვეს, გულის ორ პარკუჭს ანალოგიით. კუნთების პერპენდიკულარულად მოთავსდა ტეხარი, ისე რომ კამერის შიხაგანა ნაწილი გაყოფილი იყო ექვს ნაწილად: ორი — მუშა, „ხელოვნური კუნთი“ და ოთხი კამერა ხსნარებისათვის. რბილი სარქველებიანი შლანგები შემოეხვია გარსს სასლის მიმოქცევის მცირე და დიდი წრეების მსგავსად.

მარცხენა პარკუჭში ტუტის ხსნარი იყო, მარჯვენაში — მეავა. სკამარისი იყო ტიხრისათვის დაწყებით იმპულსის მიცემა, რომ სისტემა მოძრაობას იწყებდა. ოთხი სახსნარე კამერის მოცულობა იცვლებოდა, ორი დიდდებოდა, ორი იკუმშებოდა. მეავა და ტუტე ავტომატურად იჭირხნებოდა „ხელოვნური კუნთების“ კამერებში შეკუმშული კამერებიდან. ამავე დროს გადიდებულ კამერებშა ხსნარების ახალი ულუფები შეიწოვებოდა. კამერების ურთიერთობა ისე იყო შესრულებული, რომ თვითეულ ხელოვნურ კუნთს ერთმანეთის შენაცვლებით გადაუვლიდა ხან ტუტე, ხან მეავა. ამასთან მის შემხვედრ კუნთს საწინააღმდეგო მოქმედების ხსნარი გადაუვლადა. კუნთები „ანტაგონისტები“ ხდებოდნენ, და მათი ანტაგონიზმი არეგულირებდა ტიხრის მდგომარეობას, სარქველებს მუშაობას, ხოლო ამით მთელი სისტემის მუშაობასაც.

ხელოვნური გულის მოდელი დასკვნისათვის გადასცეს მედიკებს. საწინაღმდეგო მოსაზრება ბევრი იყო: „მოიიმინეთ, ეს როგორი გულია, როცა მასში ტიხარი მოძრაობს — თვითონ კი აბსოლუტურად დასვენებულია. და მერე, ტუტე, მეავა — დაგვეთანხმეთ, ეს სრულებითაც არ არის ვენური და არტერიული სისხლის სინონიმები. თანაც ცოცხალ გულში არაჩვეულებრივად მოქნილი და რთული ნერვული მართვაა...“ უდავოდ რჩებოდა მხოლოდ ერთი რამ — შექმნილია ჰოლომერული ძრავის — ტუმბოს პრინციპულად ახალი სქემა.

„შემუშავებულია სისტემა მექანიკურ-ქიმიურ რხევათა მსოფლიოში პირველი გენერატორისა, რომელშიც რეალიზებულია მექანიკურ-ქიმიური უკუკავშირი. ეს მომავალი პოლიმერული ძრავების პროტოტიპია“. ასეთი იყო კიბერნეტიკის დარგში ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტის აკადემიკოს ალსელ ბერგის დასკვნა.

ახალი ძრავი უხმაუროა. ყველა ცნობილ კონსტრუქციაზე ბევრად უფრო სიმედოა. მას არ სჭირდება ტემპერატურის ან წნევის ვარდნილები. ასეთი ძრავი უბადლო იქნება ტექნაკაში, ჰიდრავლიკური ხელსაწყოების შექმნისათვის, სითხეების სიმაღლეზე აყვანისათვის და წყალში მოძრავ მოწყობილობათა ახალი ტიპების კონსტრუირებისათვის.

მაინც როგორია საქმის ვითარება ხელოვნური გულის მხრივ?

— შექმნილი მოდელი, — ამბობს დასასრულ რადომირ ბელიაკოვი, — დაეხმარება მედიკებს გულის ზოგიერთი მანკის შესწავლისა და მოდელირებისას, განსაკუთრებით ისეთებისა, როდესაც ხელოვნურად წარმოქმნა შეუძლებელია. ისინი გარდუვალად იწვევენ საცდელი ცხოველის დაღუპვას.

რაც შეეხება ახალი მოდელის იმ უფლებას, რომ იწოდებოდეს თუ არა ხელოვნურ გულად, აქ ბევრ რამეში შეიძლება დავეთანხმოთ მედიკებს. რა თქმა უნდა, არის შესაძლებლობა უკვე ახლა გავაუმჯობესოთ სქემა, გამოვიწვიოთ ხელოვნური გულის პულსაცია როგორც ცოცხლისა, მაგრამ როგორ დავეხმაროთ სინთეზურ კუნთებს გაარჩიონ ვენური და არტერიული სისხლი? ეს ახლა, რასაკვირველია, ერთადერთი პრობლემა რადია, მაგრამ ერთერთი მთავარია. და აქ ჩვენ ახალ სიტყვას ველით ქიმიკოსებისაგან. ხომ უკვე შექმნილია პოლიმერული აფსკები, რომლებიც ქიმიური შემადგენლობის მიხედვით არჩევენ ზღვის წყალს მტკნარი წყლისაგან...

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲯᲕᲘᲜᲔᲑᲖᲔ

მკლმ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ

ბ. სპასკი უტბილოდ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ

სტარტზე ორი გამარჯვება ზედიზედ მოწმობს საბჭოთა გროსმაისტერის ბ. სპასკის ბრწყინვალე თამაშზე პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში ბ. ლარსენის წინააღმდეგ.

როგორც ვიუწყებოდით, მეორე პარტია გადადებული იყო ბ. სპასკისათვის მოსაგებ პოზიციაში. მას ზედმეტი, გამსვლელი პაიკი ჰყავდა. პარტიის დამთავრებისას საბჭოთა გროსმაისტერმა აიძულა მეტოქე ეტლები გაეცვალა. საბოლოოდ ბ. სპასკის კუ და ორი პაიკი დარჩა ბ. ლარსენის იმავე ფერის კუსა და ერთი პაიკის წინააღმდეგ.

ბ. სპასკის მხოლოდ 7 სვლა დასჭირდა იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე ეიძულებინა თავი დამარცხებულად ეცნო. მატჩის ანგარიშია 2:0 საბჭოთა გროსმაისტერი.

სიცილიაში ამოიწურა ევროპის ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. ასპარეზობამ გამოავლინა უძლიერესები ქვეჯგუფებში, რომლებმაც იტალიის ნაკრებთან ერთად უნდა გაითამაშონ ფინალი.

იტალიის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ქალათბურთელებს თამაშს და წარმატებასაც მათ უწინასწარმეტყველებს. სსრ კავშირს ნაკრებმა ჯერ კიდევ უკანასკნელ ტურამდე გაინაღდა ფინალში მონაწილეობა. ბოლო მატჩი ჩვენმა ქალათბურთელებმა ჰოლანდიის გუნდს მოუგეს — 91:29 და ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. ამავე ქვეჯგუფიდან საპარიზო ადგილებისათვის მებრძოლთა რიგებში მოხვდა ბელგიის გუნდი, რომელმაც უკანასკნელ მატჩში დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალათბურთელები ანგარიშით 58:47.

უკანასკნელი ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: პალერმოს ქვეჯგუფში — ბულგარეთი-პოლონეთი 56:47, ჩეხოსლოვაკია-რუმინეთი 56:139, რაგუზას ქვეჯგუფში — უნგრეთი-სუფრანეთი 48:47, იუგოსლავია-გდრ 66:50.

ამრიგად, ყველა ფინალისტი ცნობილია. ესენი არიან — სსრ კავშირი, ბელგიის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ბულგარეთის და იტალიის გუნდები. ეს უკანასკნელი, როგორც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი, ფინალში შეიყვანილია წინასწარი ასპარეზობის გაუფლელად.

დასკვნითის ასპარეზობაში მონაწილე გუნდებმა თვი მოიყარეს ქალაქ მესინაში, სადაც გათამაშდება საპრიზო ადგილები. ასპარეზობა მოეწყობა წრიული სისტემით, წინასწარი შეხვედრების შედეგები გუნდებს არ ეთვლებათ.

ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ დიდი ფეხბურთის თვეა. გარდა საოიბილეო ჩემპიონატისა და სსრ კავშირის თასის მატჩებისა გაიმართება არაერთი საერთაშორისო შეხვედრა საზღვარგარეთელ საკლუბო გუნდებთან.

მოსკოვში ჩამოვიდა ბრაზილიის **„პორტუგეზა“.** უახლოეს დღეებში საბჭოთა კავშირს ეწვევიან ავრეთვე იაპონიის ნაკრები, უნგრეთის **„ხოლოდაში“,** რუმინეთის **„პროგრესული“** და დანიის **„ოლბორგი“.** ბრაზილიელ ფეხბურთელებს მორიგი მატჩები ექნებათ რსფსრ-ის ნაკრებთან და დონის როსტოვის სკა-სთან; იაპონიის გუნდი შეხვდება რსფსრ-ის ნაკრებს, ლენინგრადის **„ზენიტს“,** ოდესის **„ჩერნომორეცსა“** და კიშინიოვის **„მოლდოვას“.**

უნგრეთის ფეხბურთელები საერთაშორისო მატჩებს გამართავენ მოსკოვის **„ლოკომოტივთან“,** კრასნოდარის **„ყუბანთან“,** და სტავროპოლის **„დინამოსთან“.** რუმინელთის **„პროგრესული“** ითამაშებს ქუთაისის **„ტორპედოსთან“,** ერევნის **„არარატთან“,** და იაროსლავლის **„შინიკთან“.**

„ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲖᲝᲚᲜᲘᲗᲔᲑᲘ

გაიმართა „ბ“ კლასის გუნდების მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

მესამე ზონა — „უროკაი“ (სლავიანსკი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:1, „ხიმიკი“ (ნეკინომისკი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „უროკაი“ (ლენინგრადსკაია) — „დილა“ (გორი) 0:1.

მეოთხე ზონა — „მერცხალი“ (მახარაძე) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:1, „ნადიკვარი“ (თელავი)— „უროკაი“ (გროზნო) 1:0.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

ᲒᲣᲜᲓᲘᲜ მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ბრაზილიის საკლუბო გუნდის — „პორტუგეზასა“ და დედაქალაქის „ბურევესტნიკის“ შორის. შეხვედრის შედეგი 3:2 „ბურევესტნიკის“. სასარგებლოდ.

8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და პოლონეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები კოლეტიკების საერთაშორისო შეხვედრა. მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრეად დაამთავრეს.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფის გუნდების მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და ულიანოვსკის „ვოლგის“ გუნდები. წარმატება სტუმრებს ხვდათ ანგარიშით 1:0.

ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲘ — ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — ᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐ — ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — ᲤᲡᲙᲘᲠᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ (ᲛᲔ-6 ᲐᲑᲝᲜ. ᲛᲔ-6 ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲜᲐ), **ᲗᲐᲡᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ** — ნინო, **რუსთავის სახელმწიფო დრამატული** — ფსკერზე (აბონ. № 19, მე-6 წარმოდგენა).

ᲙᲘᲜᲝ

10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული, კოლხიდა (საზამთრო), ეკრანი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **ლონდრე,** ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, ისანი (საზამთრო, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ბათუმი, სპორტი, სპარტაკი — **მაიორი „ვიზრი“** (1, 11 სერია), საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა (საზაფხულო), კოლმეურნე — **ერთგული ხელი — ინდიელთა მეგობარი,** ისანი (საზაფხულო), ვაკის პარკი — **კირკიტი კაკალი.**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

რუსთაველის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ I ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

1. მეტალურგიული ქარხნების მოწყობილობა (ქართული სექტორი);

2. სამრეწველო საწარმოთა და დანადგართა ელექტრომოწყობილობა (ქართული სექტორი);

3. ავტომატური მოწყობილობის ექსპლოატაცია მეტალურგიაში (ქართული სექტორი);

4. ქიმიური ბოჭკოს ტექნოლოგია (ქართული სექტორი);

5. ორგანული სინთეზის ტექნოლოგია (რუსული სექტორი).

ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ III ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

1. ლითონების ჭრით დამუშავება (რუსული სექტორი);

2. ფოლადის წარმოება (ქართული სექტორი);

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ III ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგართა ელექტრომოწყობილობა (ქართული სექტორი);

2. საგლინავი წარმოება (ქართული სექტორი);

3. მინერალური სასუქების ტექნოლოგია (რუსული სექტორი);

4. ქიმიური ბოჭკოს ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

პირველ კურსზე ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა და გამოცდებს ჩააბარებენ შემდეგ საგნებში:

1. მშობლიური ენა (წერა-კარნახი);

2. მათემატიკა (ზეპირი).

III კურსზე ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა და გამოცდებს ჩააბარებენ შემდეგ საგნებში: ფოლადის წარმოებაში, საგლინავ წარმოებასა და ქიმიურ სპეციალობებში;

1. მშობლიური ენა (წერა-თხზულება);

2. ქიმია (ზეპირი).

დანარჩენ სპეციალობებზე:

1. მშობლიური ენა (წერა-თხზულება);

2. მათემატიკა (ზეპირი).

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: დღის განყოფილებაზე ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, რაიონდან ჩამოსულთ მიეცემათ ადგილი საერთო საცხოვრებელში (1969 წლის იანვრიდან).

ჩარიცხვის დროს უპირატესობა მიენიჭებათ იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ სპეციალობის მიხედვით.

ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. დიდი სამამულო ომის მონაწილენი და არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი მისაღები გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ შემსვლელნი შეიტანენ დირექტორის სახელზე განცხადებას შემდეგი საბუთების დართვით: 1. მოწმობა (ატესტატი) განათლების შესახებ (დედანი), 2. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ (საღამოს განყოფილებაზე შემსვლელთათვის), 3. ავტობიოგრაფია; 4. სამედიცინო ცნობა — ფორმა № 286; 5. 8 ფოტოსურათი. (ზომით 3×4, გადაღებული უქუდოთ).

ᲑᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ შენობაში დღისა და საღამოს განყოფილებებზე 15 აგვისტომდე.

გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝ: ქ. რუსთავი. ი. გაგარინის ქ. № 2.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 10-დან 14 საათამდე და 18-დან 21 საათამდე. ტელეფონი 29-92, 23-73, 29-08.

ᲠᲐᲓᲘᲝ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ